№ 177 მთავრობის მოამბე ყოველდღიური გაზეთი წელიწადი მესამე

# საქართველოს რესპუბლიკა

ფასი 3 მან. კვირა, აგვისტოს 8 1920 წ.

მთავრობის მოამბე, ყოველდღიური გაზეთი (ოფიციალური და არა ოფიციალური განყოფილებით) საქართველოს რესპუბლიკა

გაზეთი ღირს თვეში 70 მან., ცალკე ნომერი ყველგან 3 მან. განცხადების ფასი 1-ლ გვ. პეტიტის სტრიქ. 8 მან. 4-ხე გვ. 6 მან. სამგლოვიარო განცხ. ჩვეულებრივი ზომის (15—2) 150 მ., განცხ. საბუთების დაკარგვის შესახებ 110 მ. სასამართლ. უწყ. განცხადებანი 40 მ. ნისია განცხ. დაბეჭდვა ღირს ნიხრზე მეტი 20%. რედაქციის და კანტ. მისამართი: ტფ., ბარონის ქ. № 6. ტელეფ. 1—82

ტფილისის მაზრის ერობაში სჭირდება კარ. ნაკურსით ქართულ მანქანაზე მბეჭდავი. განცხადებების მიღება შეიძლება 7 და 9 აგვისტოს დილ. 8-2 ს-დე (რუსთაველის პრ. ს. № 6).

2148 1—1

## ოფიციალური განყოფილება

## შტატი

**1919—1920 წლის, მიწათ-მოქმედების სამინისტროს დაწესებულებათა.**

| №№ რიგზე. | თანამდებობის სახელწოდება. | თანამდებობის პირთა რიცხვი. | თვიური ჯამაგირი თვითეულს. | წლიური ჯამაგირი თვითეულს. | წლიური ჯამაგირი ყველას. |
|---|---|---|---|---|---|
| | | | მ ა ნ ე თ ი. | | |
| | **„ქულარის"-ს მამული (მანთაშევისეული).** | | | | |
| 1 | მოურავის თანაშემწე | 1 | 2000 | 24000 | 24000 |
| 2 | კანტორის მოხელე | 1 | 1650 | 19800 | 19800 |
| 3 | ფერშალი | 1 | 1500 | 18000 | 18000 |
| 4 | ნოქარი | 1 | 1500 | 18000 | 18000 |
| 5 | მებაღე მევენახე | 1 | 1500 | 18000 | 18000 |
| 6 | საწყობის გამგე | 1 | 1400 | 16800 | 16800 |
| 7 | უფროსი ცხენოსანი დარაჯი | 1 | 1300 | 15600 | 15600 |
| 8 | უმცროსი ცხენოსანი დარაჯი | 7 | 1100 | 13200 | 92400 |
| 9 | მეველე მეთვალყურე | 1 | 1200 | 14400 | 14400 |
| 10 | მუშა მევენახე | 2 | 1100 | 13200 | 26400 |
| 11 | მეჯინიბე | 1 | 1100 | 13200 | 13200 |
| 12 | ბაღის მუშა | 4 | 1000 | 12000 | 48000 |
| 13 | ბაღის დარაჯი | 1 | 1000 | 12000 | 12000 |
| 14 | პურის მცხობელი | 1 | 1000 | 12000 | 12000 |
| 15 | ღამის დარაჯი | 1 | 1000 | 12000 | 12000 |
| 16 | მერუე (ჯუვარი) | 2 | 900 | 10800 | 21600 |
| | სულ | 27 | — | — | 382200 |
| | სულ მამულს | 103 | — | — | 1497000 |
| | **გ) „ყარაიაზი"-ს სახელმწიფო მამული** | | | | |
| 1 | მამულის გამგე | 1 | 3500 | 42000 | 42000 |
| 2 | მისი თანაშემწე | 1 | 3000 | 30000 | 36000 |
| 3 | ბუხჰალტერი მოანგარიშე | 1 | 2500 | 30000 | 30000 |
| 4 | მუდმივი მუშა | 12 | 1225 | 14700 | 176400 |
| 5 | მეეტლე მეჯინიბე | 1 | 1225 | 14700 | 14700 |
| 6 | მზარეული | 1 | 1225 | 14700 | 14700 |
| 7 | ცხენოსანი დარაჯი | 6 | 1225 | 14700 | 88200 |
| 8 | მწყემსი | 2 | 1225 | 14700 | 29400 |
| 9 | მეეზოვე | 1 | 1225 | 14700 | 14700 |
| 10 | პურის მცხობელი | 1 | 1225 | 14700 | 14700 |
| | სულ მამულს | 27 | — | — | 460800 |
| | **დ) „ხკრის" სახელმწიფო მამული.** | | | | |
| 1 | მოურავი | 1 | 2700 | 32400 | 32400 |
| 2 | საქმის მწარმოებელი მოანგარიშე | 1 | 2000 | 24000 | 24000 |
| 3 | მემანქანე | 1 | 1100 | 13200 | 13200 |
| 4 | სამეურნეო ნაწილის გამგე | 1 | 1300 | 15600 | 15600 |
| 5 | მეწისქვილე | 1 | 1100 | 13200 | 13200 |
| 6 | მებაღე | 1 | 1300 | 15600 | 15600 |
| 7 | მებაღის თანაშემწე | 1 | 1200 | 14400 | 14400 |
| 8 | მეჯინიბე, მეურმე, მუშა-მხვნელი-მთესველი და მწყემსი | 4 | 1100 | 13200 | 52800 |
| 9 | ბაღის მუშა | 3 | 1100 | 13200 | 39600 |
| 10 | შიკრიკი, ღამის დარაჯი, დარაჯი და მეეზოვე. | 4 | 1000 | 12000 | 48000 |
| | სულ მამულს | 18 | — | — | 268800 |
| | **ე) „სინთაპის" და „დიოსკურის" სახელმწიფო მამული.** | | | | |
| 1 | მოურავი | 1 | 2700 | 32400 | 32400 |
| 2 | მოანგარიშე | 1 | 1800 | 21600 | 21600 |
| 3 | კანტორის მოხელე | 1 | 1650 | 19800 | 19800 |
| 4 | მწერალი | 1 | 1200 | 14400 | 14400 |
| 5 | მებაღე | 2 | 1200 | 14400 | 28800 |
| 6 | მებაღის თანაშემწე | 2 | 1200 | 13200 | 26400 |
| 7 | 1 დარაჯი, 2 მეეზოვე, 2 ღამის დარაჯი | 5 | 1100 | 13200 | 66000 |
| 8 | მეეტლე | 1 | 1100 | 13200 | 13200 |
| 9 | მუშა | 11 | 1100 | 13200 | 145200 |
| 10 | მეჯინიბე | 2 | 1000 | 12000 | 24000 |
| | სულ მამულს | 27 | — | — | 391800 |

1920 წ. ივნისის 7-ს.

დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის უფროსი ამხანაგი ალ. ლომთათიძე.

რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე ნ. ჟორდანია.

## განკარგულება

**ფოსტა-ტელეგრაფის და ტელეფონის სამართველოს უფროსისა**

19 ივლისიდან, 1920 წ., № 18.

**გამწესებულნი არიან:** ყოფილი მექანიკოსი თეოდოსი ვლადიმიროვი ახლათ უფროს მექანიკოსათ ტფილისის ტელეგრაფის კანტორაში; მოქალაქე ნიკოლოზ კიკვაძე ზედამხედველად დაბალი ჯამაგირისა ტფილისის სამოქალაქო ტელეფონის ქსელზე; ყოფილი ფოსტალიონები: ზებედე ოქროპირიძე, გიორგი გიორგაძე, გიორგი ბასიევი, აქსენტი ჩხაიძე, და მოქალაქენი: გიორგი ჯობაძე, გედევან უნგიაძე, პავლე სამხარაძე, ვასილ თავართქილაძე, ალფეზ თოხაძე და ვარლამ ჩხაიძე მეორე კატეგორიის ფოსტალიონებად: ოქროპირიძე და აქსენტი ჩხაიძე—სამტრედიაში, გიორგაძე წნორის-წყალზედ, ბასიევი მცხეთაში, ჯობაძე ხაშურში, უნგიაძე ქუთაისში, სამხარაძე ბორჯომში, თავართქილაძე და თოხაძე რკინის-გზის განყოფილებაში, ვარლამ ჩხაიძე ტფილისის ფოსტაში; ყოფილი ფოსტალიონები: აკაკი ჯაიანი, ნინო ნიკოლაშვილი, მოქალაქენი: ეკატერინე კანდელაკი, თამარ საკანდელიძე, ოლღა ჰელიძე, მარიამ გრიგოლია, ბარბალე ტუევა, სოფიო შალიკიანი, ნატალია პრიბილოვა, ყოფილი მოხელეები: კარლ ბომ, ივანე ტერ-მიკირტიჩევი, ვილგელმინა რეკაჩ, გიორგი სამნიაშვილი, გაიანე კადურინა, გიორგი ვასაძე და დავით ჰანტურია; ყოფილი ქობულეთის კანტორის უფროსი პეტოს აგაჯანოვი და ყოფილი იმავე კანტორის უფროსის თანაშემწე ლიდია აგაჯანოვისა, და ყოფილი ალექსანდროვის განყოფილების უფროსი გიორგი ბელიავსკი ფოსტა-ტელეგრაფის მოხელეებათ: ნიკოლაიშვილი, კანდელაკი, საკანდელიძე, ჰელიძე და გრიგოლია მეექვსე ხარისხის მოხელეებათ ქუთაისის ტელეფონის ქსელზედ; ტუევა და შალიკიანი ტფილისის ტელეფონის ქსელზედ, ბელიავსკი და აგაჯანოვი მეხუთე ხარ., ლიდია აგაჯანოვისა და ბომი მეექვსე ხარისხებით—ოთხივე სამტრედიის კანტორაში- ტერმიკირტიჩევი და რეკაჩი პირველი ხარისხებით და პრობილოვა მეხუთე ხარისხით ქუთაისში; ჯაიანი მეექვსე ხარ. სოხუმში, სამნიაშვილი მეოთხე ხარ. შორაპანში, კადურინა მესამე ხარისხ. და ვასაძე მეხუთეთი და ჰანტურია მეექვსეთი ტფილისის ტელეგრაფში; ვარლამ ჩხაიძე და ჰანტურია 8 ივლისიდან, უნგიაძე 14 ივლისიდან, ტერმიკირტიჩევი და რეკაჩი 16 ივლისიდან, პრიბილოვა 22 ივლისიდან; ვლადიმიროვი 13 ივლისიდან, ტუევა და შალიკიანი 1 ივლისიდან; პეტროს აგაჯანოვი, ლიდია აგაჯანოვა და სამნიაშვილი 24 ივლისიდან, აქსენტი ჩხაიძე, სამხარაძე და კადურინა 26 ივლისიდან. დანარჩენნი 16 პირნი 21 ივლისიდან 1920 წლისა, ხოლო ტერმიკირტიჩევი აპარატიუზზე მუშაობისათვის დამატებითი ჯამაგირით.

**დანიშნულნი არიან:** მცხეთ. ფოსტ. მაჩხანელი მეექვსე ხარისხის მოხელეთ სოხუმში. ზედამხედველი ტელეფონის ქსელისა ალექსანდრე ტაბატაძე სახელოსნოს საქმის მწარმოებლის თანაშემწედ, მეოთხე ხარისხის მოხელე სამტრედიის კანტორისა ტიტე ჰავჰანიძე თანახმად თხოვნისა პირველ კატეგორიის ფოსტალიონათ ხონში. ზედამხედველები: ტელეგრაფის კანტორის სერგო მორინცევი და ვანო კობაიძე და ტფილისის ტელეფონის ქსელის აკაკი მესხი უმცროსი მექანიკოსის თანამდებობის აღმასრულებლათ დაბალი ჯამაგირით: მესხი და მორინცევი ტელეფონის ქსელზე და კობაიძე ტფილისის ტელეფონის კანტორაში; ფოსტა-ტელეგრაფის მოხელეები: ახალ-სენაკის მეხუთე ხარისხის კუჭავა და ტფილისის ტელეგრაფის მესამე ხარისხის იაკობ გაბუნია ფოსტა-ტელეგრაფის მოხელეებათ იმავე კანტორებში: გაბუნია პირველი ხარისხით და კუჭავა მეოთხე ხარისხით. ფოსტა-ტელეგრაფის მოხელეები: მეორე სამოქალაქო განყოფილების იოსებ მამალაშვილი და ტფილისის ფოსტის მეოთხე ხარისხის მიხეილ ელიაშვილი ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილების უფროსებათ: ელიაშვილი ქარელში და მამალაშვილი წინანდალში. კობაიძე 16 ივლისიდან, გაბუნია 1 ივლისიდან, ელიაშვილი 22 ივლისიდან, მორინცევი 24 ივლისიდან, მამალაშვილი 25 ივლისიდან, დანარჩენნი ხუთი 21 ივლისიდან 1920 წლისა.

**დამტკიცებულია:** უმცროს მექანიკოსის თანამდებობაზე დაბალი ჯამაგირით ქუთაისის ზედამხედველი მაღალი ჯამაგირისა კონსტანტინე ჯაფარიძე 21 ივლისიდან 1920 წ.

**გადაყვანილნი არიან:** მეორე სამოქალაქო განყოფილების ფოსტალიონი ივანე ბერძენიშვილი, ბორჯომის კანტორის ვარლამ ციბაძე, რკინის გზის განყოფილების ივანე ჟორდანია და ფოსტა-ტელეგრაფის მოხელეები: ეკატერინოფელდის აქსენტი ბალანჩივაძე, სამტრედიის მიხეილ ჩხიკვიშვილი, ქუთაისის ვასილ დიდიმამოვი, ცხინვალის ვასილ ქავთაროვი, იმავე წოდებით: ბერძენიშვილი ტფილისის ფოსტაში, ჩხიკვიშვილი და ქავთაროვი ტფილისის ტელეგრაფის კანტორაში, ციბაძე ქუთაისში, ჟორდანია ლანჩხუთში, ბალანჩივაძე სამტრედიაში, დიდიმამოვი ახალ-ციხეში. ბერძენიშვილი 19 ივლისიდან, ციბაძე 26 ივლისიდან, ჟორდანია, ბალანჩივაძე და ჩხიკვიშვილი 21 ივლისიდან, დიდიმამოვი 25 ივლისიდან, ქავთაროვი 24 ივლისიდან, ხოლო ბერძენიშვილი სამსახურის სასარგებლოდ, დანარჩენნი ხუთნი თანახმად თხოვნისა.

**დათხოვნილნი არიან:** სამსახურიდან: გაგრის მოხელე ლევანტი კაკავა, ტფილისის ტელეფონის ქსელის მოხელე ქალი ნინო მარქარიანცი. კაკავა თანახმად თხოვნისა და მარქარიანცი 20 ივლისიდან 1920 წ.

**გამორიცხულნი არიან სიებიდან:** ფოსტალიონი წნორის წყლის სერაფიონ მეტონიძე და ლანჩხუთის კანტორის სიმონ ჩიქოვანი და გიორგი კვირკველია. მეტონიძე სამსახურში გამოუცხადებლობის გამო 2 ივლისიდან, ჩიქოვანი სიკვდილის გამო 15 ივლისიდან 1920 წ. და კვირკველია სამხედრო სამსახურში მიღების გამო 1918 წლის პირველ მარტიდან.

სამმართველოს უფროსი **მგელაძე.**

## ბრძანება

**ტფილისის კომენდანტისა.**

1 აგვისტო, 1920 წ. № 12.

1

სამსახურიდან განთავისუფლებულ სამხედრო მოსამსახურეთა მიერ იმ ფორმის ტანსაცმელის ტარებას, რომელიც მითვისებული აქვთ მხოლოდ ნამდვილ სამხედრო სამსახურის პირთ, მკაცრათ ვკრძალავ, ამიტომაც სამსახურიდან განთავისუფლებულმა ვინც კი ასეთს ატარებს—დაუყონებლივ გაიხადონ. თუ წინეთ ტანსაცმელის ფორმის სისწორეს არ ექცეოდა სათანადო ყურადღება, ეხლა გარკვეულ ფორმის დადგენის შემდეგ, რომელიც ნ ჩვენებია (შტატებში) „კრებულში" და დამატებაში, რომელიც გამოცხადებულია მთავრობის ბრძანებაში 10 ივლისის თარიღით № 58, სულ ყველა სამხედრო მოსამსახურენი ვალდებულნი არიან უსასტიკესად დაიცვან ფორმა და არავითარ შემთხვევაში არ დაუშვან განსხვავების შეტანა მითვისებულ ტანსაცმელის ფორმაში. ამასთანავე მოვაგონებთ, რომ სამხედრო ფორმა მიკუთვნებული აქვთ მხოლოდ ნამდვილ სამხედრო სამსახურში მყოფთ და სრულიათ გარკვეულ თანამდებობის პირთ. თვითნებური ტარება არა მიკუთვნებულ ფორმისა ჩემს მიერ ძლიერ მკაცრათ იქნება დევნილი და ამაში შემჩნეული დამნაშავენი მაშინვე იქნებიან გაგზავნილი სამხედრო ციხეში, პასუხის გებაში მიცემით, როგორც არ აღმსრულებელნი ამა ბრძანებისა.

2.

სათადარიგო მყოფი პორუჩიკი ტედიაშვილი დაპატიმრებულია და გაგზავნილია სამ-

ხედრო ციხეში უწესოებისათვის, რომელიც მან ჩაიდინა სიმთვრალისას პლეხანოვის პროსპექტზე ღამით ამა წლის 20 ივლისს. საქმე ამის შესახებ გადაეცა მე-9 უბნის სასამართლოს გამომძიებელს.

3.

მე-5 ათასეულის ლეიტენანტი ბალკანიშვილი, დაპატიმრებულია სამხედრო გაუპტვახტაში მოთავსებით ამა წლის 26 ივლისს საღამოს 12 საათზე მუხრანის ხიდთან სიმთვრალის დროს მილიციონერებთან წაჩხუბებისათვის.

ტფილისის კომენდანტი
გენერალი **მიქაშავიძე.**

---

## არა ოფიციალური განყოფილება

# მთავრობაში

### 3 აგვისტოს სხდომა.

### ღიურების გადიდება.

სამხედრო მოსამსახურეთა ღიურების გადიდების საკითხის განსახილველად დაარსდეს საუწყებათა-შორისო კომისია.

### მიწების ჩამორთმევა სურამის საჭიროებისთვის.

დამტკიცდეს სურამის თვითმმართველობის დადგენილება ქალაქის სასარგებლოდ, სახელდობრ თეატრის ასაშენებლად, შალიკაშვილის და დათოშვილის მიწების ჩამორთმევის შესახებ. ამასთანავე დროებით ნება მიეცეს სასადილოს მოსაწყობად ჩამოართვას ქალაქმა დუქანი მონოშაროვს.

### სასურსათო დახმარება ზემო აჭარას

აღმოეჩინოს ზემო აჭარას სასურსათო დახმარება. მომარაგების მინისტრს დაევალოს გამოარკვიოს საკითხი, თუ რაოდენ საჭიროებას განიცდიან ბათომის ოლქის მცხოვრებნი სურსათ-სანოვაგეში.

### სესხი ქალ. ხონს.

მიეცეს ქალ. ხონს ჰიდრო-ელექტრონულ სადგურის ასაშენებლად 5%-იანი 3 მილ. მან. სესხი ორი წლის ვადით. შინაგან საქმეთა მინისტრს დაევალოს შეიტანოს დამფუძნებელ კრებაში სათანადო დეკრეტი.

### სასურსათო დახმარება.

დაევალოს მომარაგების მინისტრს მიიღოს საჭირო ზომები ლეჩხუმის და რაჭის მცხოვრებთათვის სასურსათო დახმარების აღმოსაჩენად.

---

# შინაგან საქ. სამინისტროში

### ფოსტა-ტელეგრაფის საჭიროებისათვის.

შინ. საქმეთა სამინისტროში მუშავდება მოხსენება 10 მილიონიან ფონდიდან 10,000 მან. გადადების შესახებ. ეს თანხა საჭიროა ბათომის ოლქში ფოსტა-ტელეგრაფის საქმის გასაუმჯობესებლად და განსავითარებლად ამ თანხის გაღებას აქვს დროებითი ხასიათი და გაგრძელდება მანამ, სანამ ფოსტა-ტელეგრაფის სამმართველოს მიერ სათანადო ხარჯთ-აღრიცხვა სასწრაფოდ არ იქნება დამუშავებული.

# იუსტიციის სამინისტროში

### ყაჩაღთა ბანდების ლიკვიდაცია.

იუსტიციის სამინისტროს დუშეთიდან დეპეშით ატყობინებენ: თიონეთის მაზრის საზღვართან მდებარე სოფელ ასაგანში ყაჩაღთა ბანდების ლიკვიდაცია სასურველად მიმდინარეობსო. ამ ბანდას ლიკვიდაცია უყო სახალხო გვარდიელთა და მილიციონერთა რაზმმა ადგილობრივ გვარდიის უფროსის შუშიაშვილის მეთაურობით. შეპყრობილ ყაჩაღებს აღმოაჩნდათ მრავალი საბუთი 2 ყაჩაღი მოკლულია, ერთი დაჭრილი.

### საპყრობილეთა ინსპექციაში.

თანახმად იუსტიციის მინისტრის განკარგულებისა საპყრობილეთა ინსპექციის ყველა განყოფილებაში და რესპუბლიკის ყველა საპყრობილეში აგვისტოს 15-დან მთელი საქმის წარმოება სახელმწიფო ენაზე უნდა წარმოებდეს.

### საოლქო სასამართლო ბათომში.

იუსტიციის მინისტრს მ. არსენიძეს ბათომში ყოფნის დროს განზრახვა აქვს გამოარკვიოს საკითხი ბათომში საგანგებო საოლქო სასამართლოს დაარსების შესახებ.

### ტუსაღების ულუფა.

საპყრობილეთა ინსპექტორმა აღმოსავლეთ საქართველოს საპყრობილეთა უფროსებს წინადადება მისცა აგვისტოს 7-დან მისცენ ტუსაღებს 2 გირ. მჭადი. დასავლეთ საქართველოს საპყრობილეებში მათ გადიდებული ულუფა ეძლევათ.

# განათლების სამინისტროში

### კომერციული განყოფილება.

სახალხო განათლების სამინისტროს მომავალ წლიდან ბათომის ვაჟთა გიმნაზიასთან კომერციულ განყოფილების გახსნას ფიქრობს.

### რწმუნებული ბათომში.

თანახმად სახალხო განათლების მინისტრის განკარგულებისა ბათომისა და ბათომის ოლქის სამინისტროს რწმუნებულათ კ. ქავთარაძე დაინიშნა.

### სახელმწიფო კონსერვატორია.

სახალხო განათლების სამინისტროსთან ამ მოკლე ხანში, ტფილისის სახელმწიფო კონსერვატორიის მართვა-გამგეობის წესდების შესამუშავებლად დაარსდება საგანგებო კომისია.

### ტექნიკური განათლება.

სახალხო განათლების სამინისტრო ფიქრობს ბათომის დაბალ ტიპის სახელოსნო შკოლა საშუალო ტეხნიკურ სასწავლებლად გადააკეთოს.

### მონტესორის სისტემა.

იტალიიდან ჩამოვიდა მონტესორის სისტემის სპეციალისტი ქალი, რომელიც, თანახმად საქართველოს სამოსწავლო კომიტეტის თხოვნისა, აგვისტოს 9 დან, მონტესორის სისტემით პირველ დაწყობის შკოლების შესახებ ლექციებს წაიკითხავს.

# მიწათ-მოქმ. სამინისტროში

### გადასახლების საქმე

მიწად-მოქმედების სამინისტრომ დამფუძნებელ კრებას გადასახლებულთა საჭიროებისათვის ახალ კრედიტის გამოთხოვასთან ერთად, წარუდგინა მოხსენება გადასახლების საქმის მდგომარეობის შესახებ. განმარტებით ბარათში მინისტრი აღნიშნავს გადასახლების საქმის საერთო მდგომარეობას. ამ მოხსენებაში აღნიშნულია, თუ როგორ ინტენსიურად სწარმოებდა რესპუბლიკის თავისუფალ ადგილებზე გადასახლებულთა ჩასახლება. ამ საქმეს მოხმარდა დამფ. კრების მიერ ჯერ კიდევ შარშან ივლისში გადადებული 5 მილიონი მანეთი. ამ თანხით დასახლებული იქნა შემდეგი ადგილები: ლაგოდეხის რაიონში 7 სოფელი (1239 სული), ყარაიაზში 3 სოფელი (211 სული) და ტფილისის გუბერნიის ცენტრალურ ადგილებში 13 სოფელი. სულ სხვა და სხვა ადგილას სამინისტროს ჩაუსახლებია 534 იმერელი და რაჭველი, 263 ლტოლვილი ალაგირელი და სხვ. გარდა ამისა გამოკვლეულ იქმნა ჯერ კიდევ ჩაუსახლებელი თავისუფალი ადგილები. გამოირკვა შესაძლებლობა ჩასახლებისა შემდეგ რაიონებში: გორის მაზრაში—თავისუფალია 1013 დეს., ტფილისის მაზრაში—თავისუფალი 5607 დეს., თელავის მაზრაში—თავისუფალია 3547 დეს. სხვა და სხვა რაიონებში. სულ თავისუფალია 25542 დესიატინა მიწაზე შეიძლება 2200-2300 სულის ჩასახლება. მაგრამ გადასახლების დროს გლეხები დიდ მატერიალურ დახმარებას საჭიროებენ. მიწათ-მოქმედების სამინისტრო ფიქრობს, მათ ვინც გადასახლების სურვილს გამოაცხადებს და ვინც ამაში საჭიროებს, მისცეს დახმარება: ოჯახის გადასაყვანად, სახლის ასაშენებლად, ერთი უღელი ხარის და ურმის შესაძენად და სხვა საჭირო სასოფლო-სამეურნეო მანქანების შესაძენად და აგრეთვე ახალ მოსავლამდე სურსათის და საქონლის საკვების შესაძენად. სულ აღნიშნულ საჭიროებისათვის სამინისტრო თხოულობს 36.300.000 მანეთს.

# შრომის სამინისტროში.

### ბათომის ოლქის მუშების და მოსამსახურეების საჭიროებისათვის სურსათის შეძენა.

შრომის სამინისტრომ დამფუძნებელ კრებაში წარადგინა პროექტი დეკრეტისა ბათომის ოლქის მუშების და მოსამსახურეთათვის სურსათ-სანოვაგის შესაძენად საჭირო თანხის გაღების შესახებ. დეკრეტის პროექტთან თანდართულ მოხსენებაში აღნიშნულია, რომ ბათომის ოლქში ინგლისის ოკუპაციის დროს არანორმალური მდგომარეობა შეიქმნა. სახელდობრ, საქართველოს ვალიუტის კურსს ხელოვნურად სცემდენ და ძლიერ მაღალ შრომის ხელფასს აწესებდენ. ბათომის გადმოცემის შემდეგ მდგომარეობა შეიცვალა და დგება საკითხი შრომის ხელფასის გათანასწორების შესახებ. ამისათვის კი საჭიროა ბათომში მუშათა მაგიდის დაარსება, რომელიც მუშებსა და მოსამსახურეებს მიაწოდებს იაფ ფასებში პირველ საჭიროების საგნებს. მუშათა მაგიდის საჭიროებისათვის შრომის სამინისტრო ითხოვს გაღებულ იქნას 100 მილ. მანეთი.

# მომარაგების სამინისტროში

### წისქვილის მოწყობილობანი.

მომარაგების მინისტრმა ქალაქთა და ერობათა კავშირებს აცნობა, რომ იგი გზავნის საზღვარ-გარეთ სათანადო კომისიას, რომლის მიზანს სხვათა შორის წისქვილის მოწყობილობის შეძენაც შეადგენსო. ამიტომ დასახელებულ ორგანიზაციებს წინადადება ეძლევა აცნობონ მომარაგების სამინისტროს თუ როგორ და რა სახის წისქვილის მოწყობილებას საჭიროებენ ისინი და თუ სურთ მათ შეუძლიანთ ამ კომისიას საჭირო მოწყობილობების შესყიდვა.

### შიკრიკები.

მომარაგების სამინისტროსთან არსდება ახალი თანამდებობა უცხოეთის შიკრიკისა, რომელთა მოვალეობას მომარაგების მინისტრის მინდობილობით საზღვარ-გარეთ გამგზავრება შეადგენს.

---

# გზათა დეპარტამენტში.

### ბოროტ-მოქმედება ხორბლის გადატანის დროს.

გზათა მიმოსვლის დეპარტამენტმა შინაგან საქმეთა და მომარაგების სამინისტროებს მიმართა განცხადებით, რომელშიც აღნიშნავს, რომ დღიდან რკინის გზებზე ხორბლის დ ფქვილის გადატანის შეზღუდვისა და ამის გამო განსაკუთრებულ კანონების გამოცემისა, შემდეგი არა ნორმალური მოვლენა გამოირკვა: სპეკულიანტებმა გამონახეს გამოსავალი ამ მდგომარეობიდან და პურის ბარგს ფოჩტით აგზავნიდენ, რის გამო საფოჩტო ვაგონები პურის და ხორბლის ბარგით ივსებოდა. ვინაიდან ეს მოვლენა არსებითად არის პურის და ხორბლის გატანის შეზღუდვის შესახებ გამოცემულ დადგენილებათა. დარღვევა საჭირო არის სათანადო განკარგულების გამოცემა. შინაგან საქმეთა სამინისტრომ გზათა მიმოსვლის განცხადების ასლი გადაუგზავნა ფოსტა-ტელეგრაფის სამმართველოს და წინადადება მისცა აღნიშნულ ბოროტ-მოქმედების მოსასპობად მიიღოს შესაფერი ზომები.

---

# დამფუძნებელ კრებაში

### 4 აგვისტოს სხდომა

(დასასრული).

**იგ. ჭავჭანიძის** სიტყვა (გაგრძელება).

მაგრამ ბატონებო ესეც რომ არ იყოს, მაშინაც არ ჩაეთვლება ჩვენს მთავრობას დანაშაულათ ის, რომ იმ ხარჯთ აღრიცხვაში, რომელსაც თქვენ ახლა იხილავთ ვერ შევიდა მომარაგების სამინისტროს შტატები და ხარჯთ აღრიცხვა. თქვენ ახლა არჩევთ 1919—20 საბიუჯეტო წლის ხარჯთ-აღრიცხვას და ისიც მხოლოდ 1919 წლის 31 დეკემბრამდე. ე. ი. მხოლოდ შვიდი თვის ხარჯთ-აღრიცხვას. მომარაგების სამინისტრო დაარსდა 1919 წლის ნოემბერში, მან მოქმედება დაიწყო 20 ნოემბრიდან. ის ხარჯთ-აღრიცხვა კი, რომელსაც თქვენ ახლა არჩევთ, შემოტანილ იქმნა მთავრობის მიერ დამფუძნებელ კრებაში გაცილებით უფრო ადრე. აშკარაა, რომ წარმოდგენილ ხარჯთ-აღრიცხვაში ვერ შევიდოდა იმ დროს არ არსებული სამინისტროს შტატები და ხარჯები. მართალია შეიძლებოდა, რომ ზევით აღწერილი მდგომარეობა არ ყოფილიყო, დამატებით შემოტანა ამ ხარჯთ-აღრიცხვის, მაგრამ ეს იქნებოდა მხოლოთ ერთი თვის და ათი დღის ხარჯთ-აღრიცხვა, რადგან გასულ 1919 წელში, რომლის ხარჯთ-აღრიცხვას ახლა თქვენ არჩევთ, მომარაგების სამინისტრომ სულ ერთი თვე და ათი დღე იარსება. და განა ღირდა ხარჯთ-აღრიცხვის ამ ერთი ნაკუწის წარმოდგენა?.. ჩვენ შეგვეძლო, მას შემდეგ რაც სასურსათო საქმე გამოკეთდა, შეგვედგინა გასული საბიუჯეტო წლის ხარჯთ აღრიცხვა, მაგრამ ამ დროს კარს მოგვადგა 1920 21 წ. საბიუჯეტო წელი და ჩვენ ვარჩიეთ უწინ ამ წლის ხარჯთ-აღრიცხვა შეგვედგინა, რომ დროზე წარგვედგინა იგი ფინანსთა სამინისტროსთვის და საშვალება მიგვეცა მისთვის დროზე დაესრულებინა მთელი რესპუბლიკის ხარჯთ-აღრიცხვის შედგენა. ჩვენ ეგ ხარჯთ-აღრიცხვა უკვე შევადგინეთ და წარუდგინეთ ფინანსთა სამინისტროს ერთი ცალი საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარესაც გაეგზავნა. გასულ საბიუჯეტო წლის ხარჯთ-აღრიცხვას ახლა ვამუშავებთ და ამ თვის დამლევამდე ისიც მზად იქნება. როგორც ხედავთ ჩვენ არ გაურბივართ ხარჯთ-აღრიცხვის წარმოდგენას. ახლა მოგახსენებთ ჯამაგირების შესახებ. მართალი გახლავთ ის, რომ მომარაგების სამინისტროში მოხელენი მეტ ჯამაგირს იღებენ, ვიდრე სხვა სამინისტროებში, მაგრამ ისიც მართალია, რომ ამ სამინისტროში მოხელეები მეტს მუშაობენ: თქვენ იცით თუ რა მძიმე სასურსათო კრიზისი გადავიტანეთ; საჭირო იყო დიდი მუშაობა, რომ თავი დაგვეხწია სიმშილისაგან. მომარაგების სამინისტროში მუშაობა იყო და არის როგორც დილაობით, ისე საღამოობითაც, მუშაობა არის კვირა-უქმე დღეებშიაც და ეს ხდება იმისთვის, რომ პური ჩვენი არსებისა კვირა უქმე დღეებშიაც ისე ესაჭიროება პატივცემულ სპირიდონის კუჭს, როგორც ორშაბათს და სამშაბათს. სხვა სამინისტროებში თვის განმავლობაში საშუალოთ 25 სამუშაო დღეა. და აბა რა სამართალი იქნებოდა, რომ ერთ ნაირი ჯამაგირი მიგვეცა, როგორც იმისთვის ვინც თვეში 25 დღეს მუშაობს, ისე იმისთვისაც ვინც 60 დღეს მუშაობს. ამიტომ ჩვენს სამინისტროში მოხელე ორმაგ ჯამაგირს იღებს. მაგრამ შეიძლება ის აღშფოთებს ბ-ნ სპირიდონს, რომ ორიოდე მოხელე ორმაგ ჯამაგირზე მეტს იღებს. დიახ ასეთებიც არის თერთმეტ კაცამდე ბატონებო!. მომარაგების სამინისტრო კომერციული დაწესებულებაა. ამ სამინისტროში არის ისეთი ადგილები, რომელზედაც ყველა მოხელე არ გამოდგება. აქ საჭიროა არა მარტო ჩინოვნიკური გამოცდილება, არამედ აგრეთვე კომერციული უნარი და ინიციატივა, იგი უნდა იყვეს არა მარტო აღმასრულებელი ამა თუ იმ ბრძანებისა, არამედ შემოქმედიც. თქვენ მოგეხსენებათ, რომ კომერციული ბანკი კარგ ფინანსისტს და კარგ ბუჰხგალტერს ჯამაგირზე ლაპარაკს და ვ ჭრობას არ დაუწყებს. კომერციის ხალხმა იციან, რომ კარგი თანამშრომელი, რა დიდ ჯამაგირსაც არ უნდა იღებდეს, ათჯერ და ოცჯერ გამოიყენებს მასზე გაწეულ ხარჯს. ჩვენ ექვსი თვე ვეძიეთ გამოცდილი ბუჰხგალტერი და დიდი გაჭირვებით მივაგნეთ ერთს. მაგრამ იგი ადგილზე იყო და თვეში 25,000 მანეთს იღებდა. ჩვენს სამინისტროებში შტატით ბუჰხგალტერიისთვის 65,000 მანეთია დაწესებული ჩვენც ორში ერთი გზა უნდა აგვერჩია.. ან ხელი უნდა აგვეღო კარგი და გამოცდილ ბუხჰალტერის მოწვევაზე, ან 25 ათასი მანეთი მიგვეცა. ჩვენ უკანასკნელი გზა ავირჩიეთ. სხვა ნაირათ არ შეგვეძლო მოქცევა რადგანაც ჩვენ სამინისტროს წლიურათ რამდენიმე მილიარდის ოპერაციები ექნება. ასეთ სამინისტროს ბუხჰალტერია თუ სამაგალითოდ და უნაკლულოთ არ იქნა დაყენებული, საქმე აირევა და სახელმწიფო გაცილებით უფრო მეტ ზარალს ნახავს, ვიდრე ზედმეტი ჯამაგირის გაღებით კარგ ბუხჰალტერიაზე. ასევე მოვიქეცით ჩვენ ზოგიერთ მოანგარიშების მოწვევის დროსაც. ჩვენ სამინისტროს, ბუხჰალტერიის გარდა აქვს კიდევ ისეთი საქმეები, რომლებისთვისაც სპეციალისტებია საჭირო. ასეთ სპეციალისტებს შტატით დაწესებულ ჯამაგირებით მოხელეთ ვერ შევიტყუილებთ და იძულებული გახდებით დამატებით ჯამაგირები დაუნიშნოთ და თუ ასეთია ბატონებო საქმის ნამდვილი ვითარება, თქვენ ამ ვითარებას გაითვალისწინებთ და დამერწმუნებით, რომ ბატონ სპირიდონის აღშფოთება სრულიად უსაფუძვლოა.

დასასრულს თქვენი ყურადღება მინდა მივაქციო ერთ გარემოებას. იშვიათი შემთხვევაა, რომ ჩვენი ოპოზიციის ორატორები ობექტივობას იჩენდნენ მთავრობის მოღვაწეობის დაფასებაში. უფრო ხშირათ ისინი ცდილობენ ტენდენციურათ შერჩეული დეფექტებით გავიდნენ ფონს. აბა ვინ არ იცის, რომ დღევანდელ პირობებში უდეფექტოთ მუშაობა პირდაპირ შეუძლებელია? ჩვენი ოპოზიციის ორატორები კი ამ უმნიშვნელო დეფექტებს მოათრევენ ყურით ამ ტრიბუნაზე და ცდილობენ მთელ ქვეყანას დაუმტკიცონ ჩვენი მთავრობის უვარგისობა. ამავე დროს ერთ კრინტსაც კი არ დასძრავენ ამ მთავრობის დადებით მხარეებზე. სწორეთ ასე მოიქცა ბ-ნი სპირდონ კედიაც, როდესაც ცეცხლს და მეხს აფრქვევდა მომარაგების სამინისტროს არა ერთხელ გაბათილებულ ბრალდების წამოყენებით. მე კი მგონია, რომ დეპუტატს, რომელიც ამ ტრიბუნაზე გამოდის, პასუხისმგებლობის გრძნობა უნდა ავალებდეს მინიმალური ობექტივობა მაინც გამოიჩინოს. ბატონ სპირდონს, რომ ეს ობექტივობა გამოეჩინა, იგი ამ ტრიბუნიდან აღნიშნავდა რა ჭაპან-წყვეტით და უმაგალითო შრომით შესძლო მომარაგების სამინისტრომ ერთ მილიონ ფუთამდე ხორბლის შე-

ძენა, რითაც ქვეყანა სიმშილისა და სიძვირის ნიადაგზე მოსალოდნელ საშინელ ანარქიისაგან გადაარჩინა. იგი აღნიშნავდა იმასაც, რომ მომარაგების სამინისტრომ დიდძალი მანუფაქტურა მიაწოდა ხალხს, დაამზადა ჯარისათვის რამდენიმე ასი მილიონის ტანსაცმელი და ფეხსაცმელი; აღნიშნავდა აგრეთვე მომარაგების სამინისტროს მიერ მოწყობილ წინა წლების პარკის რეალიზაციის საქმეს, რომელსაც ბ-ნი სპირიდონი, რამდენიც არ უნდა ეცადოს, ნაკლს ვერ მოუნახავს. აღნიშნავდა მრავალ სხვა მომარაგების სამინისტროს მიერ გაკეთებულ და მოგვარებულ საქმეებს. მაგრამ შეიძლება ყველა ეს არც კი იცოდა ბ-ნ კედიამ მით უარესი თუ ეს ასეა. განა დასაშვებია დეპუტატი კრიტიკის ქარცეცხლში ატარებდეს სამინისტროს მოღვაწეობას და იმავე დროს დაწვრილებით არ იცნობდეს ამ სამინისტროს ავსა და კარგსა? ეს არ არის დასაშვები, ეგ არ შეეფერება დეპუტატის ღირსებას. ობექტივობის ნასახი ვერ გამოიჩინეს აგრეთვე ვერც თედო ღლონტმა და ვერც ივანე ლორთქიფანიძემ. ეს დეპუტატებიც მხოლოდ დეფექტებს ჰქექდენ ხოლო თუ რამ კარგი და მიზანშეწონილი გააკეთა საქართველოს მთავრობამ, იმის შესახებ არა სთქვეს რა. ბ-ნი ლორთქიფანიძე ეკონომიურ პოლიტიკის უვარგისობას უკიჟინებს საქართველოს მთავრობას და საბუთად მიუთითებს ჩვენ ბონების კურსზე. ბ-ნ ლორთქიფანიძეს ცოტა შრომა გაეწია და ჩვენი ბონების კურსი შეედარებინა ჩვენი მეზობელ რესპუბლიკების ფულის კურსთან, დარწმუნდებოდა, რომ ჩვენი ბონების კურსის საქმე გაცილებით უკეთეს მდგომარეობაშია ვიდრე მას წარმოუდგენია.

განა მარტო ჩვენი ბონების კურსი ეცემა? განა მტკიცეთ სდგას ფულის კურსი ისეთ ბუმბერაზ სახელმწიფოების, როგორიც არიან ინგლისი, საფრანგეთი, იტალია და სხვა ძველი სახელმწიფონი? განა კატასტროფიულ ხასიათს არ იღებს ფრანკის და ლირის კურსის დაცემა? დაეცა დოლარებთან შედარებით სტერლინგის კურსიც. აშკარაა, რომ ფულის კურსის ასეთი საერთო დაცემა ობექტიურ პირობების და ჩვენი ქვეყნის ეკონომიური ჩამორჩენის ბრალია და არა საქართველოს მთავრობის.

ბატონი ღლონტი, რომელსაც ეკონომიურ მეცნიერების დიდ მცოდნეთ მოაქვს თავი, ახირებულ რეცეპტს გვაწვდის ამ მდგომარეობიდან თავის დასახწევათ. იგი ავტორიტეტულათ ურჩევს ჩვენ მთავრობას თავის ხელში აიღოს როგორც მთელი ვაჭრობა ისე წარმოებაც, ესე იგი მოახდინონ ვაჭრობისა და წარმოების ნაციონალიზაცია. მარტივათ რომ ვსთქვათ, ბ-ნი ღლონტი გვირჩევს დავდგეთ მის სათაყვანებელ კომუნისტების გზას. მაგრამ განა ამ გზამ არ მიიყვანა უმდიდრესი რუსეთი სრულ ეკონომიურ განადგურებამდე? განა საბჭოთა რუსეთის ფულის კურსი ოთხჯერ და ხუთჯერ უფრო დაცემულ არ არის, ვიდრე ჩვენი ბონის კურსი? არა ბატონებო! საქართველოს დემოკრატია და მისი მთავრობა თედო ღლონტის მიერ ნაჩვენებ გზას ვერ გაყვება, რადგან მათ კარგად იციან, რომ ეკონომიურათ ჩამორჩენილ ქვეყანაში, სადაც ორი ფაბრიკა და ქარხანა არ მოიძებნება, არ შეიძლება დეკრეტებით სოციალიზმის დამყარება. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ საქართველოს დემოკრატია მისი მთავრობის სახით არავითარ მონაწილეობას არ მიიღებს ვაჭრობა-მრეწველობისა და წარმოების საქმეში. თქვენის დასტურით, და მოწონებით მთავრობა მომარაგების სამინისტროს საშუალებით აქტიურ მონაწილეობას იღებს, როგორც ნედლი მასალების ექსპორტში, ისე უცხოეთის ფაბრიკანტების იმპორტში.

მომარაგების სამინისტროს გადაწყვეტილი აქვს ამ მოკლე ხანში დიდ ძალი პირველ მოთხოვნილების საგნები პირველ ხელიდან შეიძინოს უცხოეთის ბაზარზე და შემოიტანოს ჩვენში. მომარაგების სამინისტრო თანდათან წარმოების საქმეშიც ებმება. მან შეიძინა წისქვილი, რომელსაც სამი დესეტინა მამული აკრავს, გადაწყვეტილი აქვს შეიძინოს უცხოეთში ტეხნიკის უკანასკნელ მოთხოვნილების თანახმად მოწყობილი ვალცებიანი წისქვილი, რომელიც საშუალებას მოგვცემს ჩვენი ადგილობრივ ხორბლიდან პირველი ხარისხის თეთრი ფქვილი მივიღოთ. ამის გარდა სამინისტროს განზრახვა აქვს დაიწყოს ჭიათურაში მარგანეცის საკუთარი წარმოება. ამავე დროს მთავრობა დიდ დახმარებას უწევს ჩვენს საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, ერობებს და ქალაქებს სხვა და სხვა საწარმოო დაწესებულებების მოწყობის საქმეში. და თქვენც მთავრობის წინადადებითა და შუამდგომლობით არა ერთი და ორი საწარმოო სესხი მიგიციათ ქალაქთა და ერობებისათვის.

როგორც ხედავთ ჩვენ ჯერ არ ვსპობთ კერძო წარმოებას, მაგრამ ამ უკანასკნელის გვერდით ვაჩაღებთ სახელმწიფოებრივ და საზოგადოებრივ წარმოებას. ჩვენში კაპიტალისტური მეურნეობა ჯერ კიდევ ახალი ჩასახულია. მას ჯერ კიდევ შეუძლიან ბევრი რამ გააკეთოს და ჩვენ კი შეგვიძლიან ბევრი რამ ვისწავლოთ მისგან წარმოების მოწყობისა და გაძღოლის საქმეში, ხოლო მას შემდეგ, რაც კაპიტალიზმი თავის ისტორიულ მისიას შეასრულებს, რაც იგი ერთის მხრივ ამოსწურავს თავის თავს და მეორეს მხრივ საკმარისად მოამზადებს თავის მესაფლავე მემკვიდრეს, მაშინ ჩვენ არც სოციალისტური გარდაქმნის წინაშე შევსდგებით, ამისი საიმედო თავდები გახლავთ საქართველოს სოციალისტური საკანონმდებლო ორგანო და მისი სოციალისტური მთავრობა. (ტაში)

**თედო ღლონტი.** ამ ბიუჯეტის განხილვის დროს ჩვენ გვაინტერესებდა ჩვენი ქვეყნის მომავალი საეკონომიო და საფინანსო გეგმა, პერსპექტივები იმიტომ, რომ ამით უნდა შეგვექმნა ისეთი გეზი, რომელიც ჩვენს ფინანსიურ ეკონომიურ მდგომარეობას გააუმჯობესებდა. ეს იყო მიზეზი, როდესაც ამ ბიუჯეტს კრიტიკულის თვალით შევხედეთ და აღვნიშნეთ მისი ნაკლი. როგორც პირველ სიტყვაში აღვნიშნეთ, ეს ბიუჯეტი დამყარებულია პარაზიტულ სისტემაზე, ორატორი აღნიშნავს, რომ მას ის აზრი არ გამოუთქვამს, რომ სრულიად ხელი უნდა ავიღოთ კერძო ინიციატივაზე, როდესაც კერძო ინიციატივის ალაგმის შესახებ ვლაპარაკობთ, ჩვენ ვგულისხმობთ იმ ელემენტებს, რომელთა ხელშია წარმოების ტეხნიკური აპარატი და ეს აპარატი სახელმწიფო საჭიროებას და ინტერესებს არ ემსახურება, თუ კერძო მწარმოებლები შეუგუებენ თავის მოქმედებას სახელმწიფოებრივ ინტერესებს. ჩვენ მათი წინააღმდეგი არ ვიქნებით. საქართველოში არის ისეთი ობიექტიური და სუბიექტიური პირობები, რომლებიც აუცილებელს ჰყოფენ სახელმწიფოებრივ და საზოგადოებრივ ინიციატივის გაფართოებას და მასზე დამყარებას და სახელმწიფოს ფინანსების გაჯანსაღება სწორედ ამაზე არის დამყარებული. შემდეგ ამასა ორატორი აღნიშნავს, რომ მას არ უთქვას თითქოს სულ უნდა მოისპოს გადასახადები, მაგრამ შემოსავლის უმთავრეს წყაროს გადასახადები არ უნდა შეადგენდესო. ორატორი აღნიშნავს, რომ კანტროლიორის მოხსენება ყოველთვის უნდა უსწრებდეს ბიუჯეტის განხილვას, რომ საშუალება მიეცეთ დამფუძნებელ კრების წევრებს ისარგებლონ კანტროლის მიერ წარმოდგენილ მასალებით და სათანადოთ შეაფასონ ბიუჯეტი. ფინანსთა მინისტრის ამხანაგმა ჩვენი ბიუჯეტი შეადარა ინგლისის და საფრანგეთის ბიუჯეტს, მაგრამ თუ ავიღებთ მაგალითისათვის კანადას, ავსტრალიას, ინდოეთს დავინახავთ, რომ ამ სახელმწიფოებს აქტიური ბალანსი აქვთ. ჩვენი მდგომარეობა ასეთია, რომ შეგვიძლიან აქტიური ბალანსი შევქმნათ, ჩვენ შეგვიძლიან აუარებელი საქონელი მივაწოდოთ სპარსეთს, რუსეთს და სხვა სახელმწიფოებს და ამით ჩვენი სავაჭრო ბალანსი თვალსაჩინოდ გავზარდოთ.

სხდომის დასასრულ მიღებულ იქნა საბოლოო ტექსტი დეკრეტისა თავდაცვის ფონდისათვის 400 მილ. მან. გადადების შესახებ.

# უცხოეთი

(საინფორ. ბიუროს ცნობები).

### საარბიტრაჟო კომისია

საარბიტრაჟო კომისიამ ინგლისელ პოლკოვნიკ ტელენციის თავმჯდომარეობით დაადგინა: გაიყვანოს საზღვარი ესტონეთსა და ლატვიას შორის ვალკთან, იმ პირობით, რომ ვალკის უდიდესი ნაწილი ესტონეთს გადაეცეს. ასეთ დადგენილების წინააღმდეგ პროტესტი განაცხადა ლატვიის საგ. საქმეთა მინისტრმა: ასეთ დადგენილების შემდეგ აღარ შემიძლია მთავრობის წევრათ დავრჩეო. ამასთანავე ლატვიის მინისტრთა საბჭოს სხვა წევრებიც გადადგენ თანამდებობიდან..

### სამხედრო თათბირი კიევში

თანახმად მოსკოვიდან მოსულ ცნობებისა, კიევში გენ. ბრუსილოვის თავმჯდომარეობით მთელი რიგი სამხედრო ხასიათის თათბირი შემდგარა. თათბირს დასწრებია: რაკოვსკი, მანუილოვსკი და პედვოისკი. თათბირის შემდეგ გენ. ბრუსილოვი პოლონეთის ფრონტზე გაემგზავრა.

### საბჭოთა მთავრობა და ინგლისი

„დეილი ხრონიკელი“ გადმოგვცემს, რომ მოლაპარაკება საბჭოთა მთავრობის წარმომადგენლებთან ლონდონში ამ მოკლე ხანში დაიწყებაო. შექმნილი კონიუნქტიურა ბოლშევიკებისათვის ძლიერ ხელსაყრელია. საფიქრებელია, რომ საკითხი ეკონომიურ დამოკიდებულების აღდგენის შესახებ დადებითად გადაწყდება. შესაძლებელია აგრეთვე, რომ პოლიტიკური ხასიათის მოლაპარაკებაც დაიწყოს. ეს შესაძლებელი იქნება იმ შემთხვევაში, თუ ბოლშევიკები ხელს აიღებენ ახლო აღმოსავლეთში აგრესიულ პოლიტიკაზე.

### ქემალისტები

ადგილობრივი პრესა იუწყება, რომ ქემალისტებს აზრათ აქვთ თავი მოიყარონ არირნ-კარა-ილარის რაიონში, სადაც ოსმალთა ნაციონალასტების ბაზა იქნება შექმნილიო. ქემალისტებს განზრახვა აქვთ ბრუსის წინააღმდეგ შეტევის დაწყება. „ჟოლოვურბის“ მიერ მიღებულ სარწმუნო ცნობით, ქემალისტები მოქმედებენ ერთი მხრით ტრაპეზუნდთან და მეორე მხრით კერასუნდთან. ამ რიგად ქემალისტებს დაკავებული აქვთ მთელი შავი ზღვის ხაზი. დაწყებული ტრაპეზუნდიდან ძობამდი მათ ერზერუმიდან მოტანილი შორს მსროლელი ზარბაზნები აქვთ დადგმული. ამ ხაზს 2000 რეგულიარული ჯარისკაცი იცავს.

### იაპონია

ვინაიდან ჩეხო-სლოვაკების ევაკუაცია უკვე დამთავრებულია იაპონიის მთავრობამ გადასწყვიტა იმერ ბაიკალის ოლქიდან თავის ჯარების გამოწვევა. იაპონიის ძალებს თავს მოუყრიან შორეულ აღმოსავლეთში, სახელდობრ იაპონიის ზღვის ნაპირთან და ამურის შესართავთან. იაპონის ჯარებს შეიყვანენ აგრეთვე ხაბაროვში, სადაც ბევრი იაპონელი სცხოვრობს. საერთოდ შორეულ აღმოსავლეთში მდგომარეობა იმდენათ სერიოზულია, რომ ყველა მთავარ სტრატეგიულ პუნქტს იაპონიის ჯარები დაიკავებს.

### საფრანგეთის სოციალისტები

საფრანგეთის უკიდურესმა სოციალისტებმა ამ ბოლო ხანებში სრულიად დაკარგეს თავისი გავლენა პარტიის ეროვნულ საბჭოს სხდომაზე ხმის უმრავლესობით უარყვის საკითხი მანდატის მიცემის შესახებ რუსეთში მყოფ კაშენისა და ფფრანსარისათვის, რომელთაც მესამე ინტერნაციონალში მონაწილეობა უნდა მიეღოთ. ასევე დამარცხდა. უკიდურეს მემარცხენეთა სხვა წინადადებანი. რომელიც შეეხებოდა მთავრობისათვის მაისის რეპრესიების გამო პროტესტის გამოცხადებას იტალიის პრესა მათ შორის „კორიერა დელა რერა“ ამტკიცებს, რომ საფრანგეთში ჯანსაღი მენშევიკური მოძრაობა იმარჯვებსო.

### ხალხთა ლიგა

ხალხთა ლიგის იურისტების სათათბირო კომიტეტმა მიიღო პროექტი მუდმივ საერთაშორისო სასამართლოს დაწესების შესახებ. მოსამართლეებს ყოველი მთავრობის დელეგატი დანიშნავს. ეს კანდიდატები შეადგენენ ჯგუფებს. ყოველი ჯგუფი მოსამართლეთა საბჭოში თავის კანდიდატს დანიშნავს. მოსამართლეთა საბჭო უნდა შესდგებოდეს 11 მოსამართლისა და 4 მათი მოადგილისაგან.

### იაპონია და ინგლისი

„ოვილი ძვილი“ იუწყება: კავშირი ინგლისსა და იაპონიის შორის აქ ორ სახელმწიფოთა ზღვაზე ბატონობას ამყარებს. გერმანიის გავლენის დაკარგვა შორეულ აღმოსავლეთში, სრულიად სცვლის იმ ხელშეკრულებას, რომელიც ინგლისსა და იაპონიას შორის 1911 წელში დაიწყო. ამ უადრო დადვა ახალი ხელშეკრულება ერთი წლის ვადით. „დეილი ტელეგრაფის“ ცნობით ადერბეიჯანის ციხეებში ამ ჟამად 47 ბრიტანეთის ოფიცერი და ჯარის კაცი, 8 ბრიტანელი მოქალაქე და 8 ფრანგი იმყოფება.

# ახალი ამბები

**ტოპოგრაფიულ განყოფ. განცხადება.** დამზადებულია დასაბეჭდად და ნაწილობრივ უკვე დაბეჭდილია ქართულ ენაზე შემდეგი გეოგრაფიული რუქები: ნახევარი სფეროები, ხუთი ნაწილი ქვეყნისა (აზია, აფრიკა, ამერიკა, ავსტრალია, ევროპა) და საქართველოს ათ ვერსიანი რუქა. გამოცემა გამოვა შემოდგომისათვის.

**დამფუძნებელ კრებაში.** დამფ. კრების თავმჯდომარის უფროსი ამხანაგის ალ. ლომთათიძის თავმჯდომარეობით შესდგა შეერთებული სხდომა დამფუძნებელ კრების და სამხედრო კომისიის პრეზიდიუმის წევრთა, ფრაქციების წარმომადგენელთა, შრომის კომისიის და სხვა და სხვა უწყებათა წარმომადგენლების მონაწილეობით საპენსიო წესდების შესადგენ მუშაობის დასაჩქარებლად. ა ლომთათიძის წინადადებით თათბირმა დაადგინა შეტანილ იქნას დამფ. კრებაში წინადადება, რომ დაარსდეს საპენსიო წესდების შესამუშავებლად სპეციალური კომისია. კომისიამ უწყებათა წარმომადგენლების მახლობელი მონაწილეობით, მათ შორის შრომის სამინისტროის ამ საკითხის დამუშავება საასწრაფო წესით უნდა აწარმოოს.

**მარგანეცის გატანა.** თანახმად მომარაგების მინისტრის ცნობებისა ივლისის განმავლობაში სამინისტროს ინგლისში და ჰოლანდიაში 32,000 ტონი მარგანეცი გაუზიდავს. ფოთში ამ ჟამად 800,000 ტონი მარგანეცი არის.

**საქ. სატრანსპ. საზოგ.** იმ კომისიის თავმჯდომარედ, რომელსაც დავალებული აქვს საქართველოს სატრანსპორტო საზოგადოებაზე ავტომობილების მასალების გადაცემა, მთავრობის მიერ კირსალეიშვილი დაინიშნა.

**ვაგონი გუნდისათვის.** თანახმად პროფეს. კავშ. საბჭოს შუამდგომლობისა მთავრობამ დაადგინა: მიეცეს მ. კავსაძის გუნდს ორი კვირის ვადით მესამე კლასის ვაგონი მეოთხე კლასის ტარიფით.

**გორის აღდგენა.** მთავრობამ მოისმინა რა იუსტიციის მინისტრის პროექტი გორის საჭიროებისათვის კერძო მესაკუთრეთა მიწების ჩამორთმევის შესახებ დაადგინა: 1) იუსტიციის მინისტრის პროექტი მიღებულ იქნეს იმ პირობით, რომ იძულებითი ჩამორთმევა არ გავრცელდეს კულტურულ ბაღებზე; 2) გამორკვევა ბაღის კულტურულ ხარისხისა უნდა მიენდოს შერეულ კომისიას, რომელშიაც შევლენ სახელმწიფო კანტროლიორის, გორის ქალაქის თვითმართველობისა და გორის აღმდგენ კომისიის საზოგადოების წარმომადგენლები.

**წითელ ჯვარში.** აგვ. 7, გაემგზავრენ ბათომს: საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების თავმჯდომარე მ. მგალობლიშვილი, სახალხო გვარდიის საექიმო-სასანიტარო ინსპექტორი ექიმი ცინცაძე და წითელი ჯვრის საქმეების გამგე და რწმუნებული. გამგზავრებულთა მიზანს შეადგენს გაეცნონ ადგილობრივად წითელი ჯვრის ორგანიზაციის მოწყობის საქმეს.

**კახეთის ხაზურს თუ მდგომ რეგზა.** კახეთში მოგზაურობიდან ტფილისში დაბრუნდა მომარაგების სამინისტროს სასურსათო განყოფილების დირექტორი შ. რამიშვილი, რომელმაც დაათვალიერა კახეთში ხორბლეულობის მომარაგება, კახეთში ყველგან მშვენიერი მოსავალია. წელს ბევრად უფრო მეტის გამოტანა იქნება შესაძლებელი, ვიდრე შარშან გამოვიტანეთ.

**განმარტება დახმარების მიცემის შესახებ.** სატარიფო პალატის პრეზიდიუმი განმარტებას იძლევა, რომ მუშები და მოსამსახურენი, რომელნიც მუდმივად მსახურობენ ამა, თუ იმ დამქირავებელთან, მაგრამ მუშაობის შეწყვეტის გამო, რომელიც გამოწვეულია თვით სამუშაოს ხასიათით და თუ თვეში 25 დღეზე ნაკლებ მუშაობენ, უფლება აქვთ ერთდროული დახმარების მიღებისა. მუშებსა და მოსამსახურეებს, რომელთაც ფაქტიურად შესწყვიტეს მუშაობა, მაგრამ მაინც ღებულობენ ხელფას იმის გამო, რომ დამქირავებელმა მათ ანგარიში არ გაუსწორა, უფლება აქვთ დახმარების მიღებისა მუშაობის შეწყვეტის დღემდის. სალიკვიდაციო ჯილდოს რაოდენობისა და ზედმეტ დროის სამუშევრის განსაზღვრისას ერთდროული დახმარება მხედველობაში არ არის მისაღები.

**ნიხრი საპონზე.** ქალაქის თვითმართველობამ დაადგინა, ნიხრი საპონზე 1) ქალაქის მოსამსახურეებისა და მუშებისათვის ფუთი ეღირება 1600 მ.; 2) სამხედრო დაწესებულებათა მოსამსახურეებისათვის ფუთი 2000 მან. და კერძო პირებისათვის კი ეღირება კოოპერატივთა კავშირისა და ერობის მიერ დადგენილ ნიხრის თანახმად.

# თეატრალური ქრონიკა.

### სახელმწიფო თეატრში.

სახელმწიფო თეატრის სამმართველოდან იუწყებიან: მომავალ სეზონში განზრახულია მთელი რიგი ახალ ოპერებისა და მათ შორის ოპერა „ლალატის“ დადგმა. გარდა ამისა დადგმული იქნება: „თქმულება შოთა რუსთაველზე“, „ლოენგრინი“ „ჰუგენოტები“ „აბესალომ და ეთერი“ (განახლებული დადგმა) და სხ. გარდა ამისა განზრახულია ნოემბერში, ბეთჰოვენის 100 წლის გარდაცვალების თავზე, საზეიმო კონცერტის გამარ-

თვა, რომელზედაც მე-9 სიმფონია იქნება შესრულებული.

სახელმწიფო თეატრის მმართველობა თავის მუშაობის დროს მჭიდროთ იქნება დაკავშირებული, როგორც სახელმწიფო კონსერვატორიასთან, ისე მუსიკალურ საზოგადოებასთან. აღნიშნულ სამხატვრო ორგანიზაციების წარმომადგენლები თეატრის მართველობასთან ერთად შეიმუშავებენ ვოკალურ საღამოების პროგრამას, რომელიც პერიოდულად გაიმართება ხოლმე თეატრში.

## სახელმწიფო ბანკი.

### დამზღვევი ოპერაციები.

სახელმწიფო ბანკის გამგეობას დამზღვევი ოპერაციების შემოღების განზრახვა აქვს. ბანკის გამგეობამ დაადგინა 50 მილიონიან ფონდის დასაარსებლად, რომელიც აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს ასეთ ოპერაციების შემოსაღებად, გამოითხოვოს სპეციალური თანხა.

**ბანკის ძირითად კაპიტალის გადიდება.**

სახელმწიფო ბანკის გამგეობამ დაადგინა აღძრას მთავრობის წინაშე შუამდგომლობა ბანკის ძირითად თანხის 150 მილ. მანეთამდე გადიდების შესახებ.

**სესხი კოოპერატივებს.**

საქართველოს კოოპერატიულ ბანკს კოოპერატიულ და საკრედიტო ამხანაგობათა დასახმარებლად სახელმწიფო ბანკმა კრედიტი გაუხსნა. იმის და მიხედვით თუ რამდენად გაფართოვდება დასახელებულ კოოპერატივების ოპერაციები, იმდენადვე გადიდებული იქნება აღნიშნული კრედიტიც.

## ბათომის ოლქის მდგომარეობა.

ბათომიდან ჩამოსულმა ბათომის ოლქის საგანგებო კომისარმა ბ. ჩხიკვიშვილმა საქ. დეპ. სააგენტოს თანამშრომელს შემდეგი გადასცა: ჩემი ჩამოსვლის მიზანია ბათომის ოლქის მართვა-გამგეობის შესახებ მთავრობისათვის მოხსენების გაკეთება. თავის მოხსენებაში ჩხიკვიშვილი ეხება ბათომის ოლქის ავტონომიურად მართველობის საკითხს. აღნიშნავს ოლქის რამდენიმე ჩამორჩენას და ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ დიდი ენერგიაა საჭირო, რათა ბათომის ოლქში განხორციელდეს საქართველოში განხორციელებული სოციალური ხასიათის რეფორმებიო. პირველი საზრუნავი საგანია აჭარის ბანდებისაგან გაწმენდაო. მნიშვნელოვანი საკითხია აგრარული საკითხიც. ყველა თანახმაა, რომ სახაზინო და ძვირფასი კულტურული მამულები ნორმის ზევით გადაირიცხოს სახელმწიფო ფონდში. რაც შეეხება პოლიტიკურ საკითხს, საჭიროა უპირველეს ყოვლისა სასულიერო წოდების სათავეში დარჩეს შეიხ ულ-ისლამი, რომლის პოლიტიკური უფლებაც უნდა გარკვეულ იქმნას კონსტიტუციით. სასამართლო ისეთი უნდა არსებობდეს, როგორსაც მიეჩვია ხალხი. ყადის თანამდებობა უნდა იყვეს არჩევითი. სერიოზული ყურადღება უნდა მიექცეს განათლების საქმეს, რადგანაც ეს საქმე დღეს სრულებითაც არაა დამაკმაყოფილებელ მდგომარეობაში. სექტემბრიდან ჩვენ უნდა დავიწყოთ ფართო ხასიათის საშკოლო აღმშენებლობა. ასეთი რეფორმების განხორციელებით ჩვენ უეჭველია ოლქის აყვავებას ხელს შევუწყობთ.


**განცხადებანი**

დაიკარგა საბინაო დავთარი ბათუმის შესახვევში № 3 მდებარე სახლის, რომელიც ეკუთვნის „აღმოსავლეთ-კავკასიის ნავთის მრეწველთა ამხანაგობას“. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2101 3—3

დაიკარგა უვადო პასპორტი № 6026 აკოფ ივანეს ძე ტერ-აკოფიანის (იგივე შარახიანცი) სახელზე. მიღებული ტფ. პოლიცმეისტერის სამმართველოდან 1908 წ. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2227 3—2

დაიკარგა პასპორტი № 8095 ანა ილარიონის ასული რუდინსკის სახელზე, მიღებული ტფ. პოლიცმეისტრის სამმართველოდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2134 3—2

დაიკარგა პირადობის მოწმობა რავინ თურქიას სახელზე. მიღებული ტფ. მილიციის სამმართველოდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2136 3—2

დაიკარგა შინაური პირობა მიცემული ტერეზია ანტონის ასული ბოიახჩევის მიერ იოსებ სერგის ძე შარტოვის სახელზე დ. მცხეთაში მდებარე 200 ოთხ. კვთ. საჟენ მიწის ამ უკანასკნელისადმი მიყიდვის შესახებ. 2129 3—2

დაიკარგა პირადობის მოწმობა სურათი ივანე მიხეილის ძე ლეზინის სახელზე, მიღებული რუსების ნაციონალურ საბჭოდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2137 3—2

დაიკარგა პირადობის მოწმობა № 65 10 უბ. უმცროსი მილიციონერის ალექსანდრე დომენტის ძე კანდელაკის სახელზე, მიღებული ტფ. მილიციის სამმართველოდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2140 3—2

დაიკარგა პასპორტი № 2869 პეტრე ვლადიმერის ძე ხალამსკის სახელზე მიღებული ტფ. მილიციის სამმართველოდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2125 3—3

დაიკარგა საოჯახო პასპორტი № 6632 ამონ მანუკის ძე ხაჩატუროვის სახელზე, მიღებული ტფ. მილიციის სამმართველოდან. გაუქმებულად ჩაითვალოს, 2115 3—3

დაიკარგა პასპორტი მიღებული კულოშის გაზ. სამმართველოდან და ბათუმის საურთიერთო ნდობის საზოგადოების საწევრო ბილეთი გაბრიელ მიხეილის ძე ჩიკვაშვილის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2117 3—3

დაიკარგა პასპორტი და კოოპერატივი „მეურნეს“ წევრობის წიგნაკი სოფიო სოლომონის ასული კობალაძის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2122 3—3

ტფილისის ეპარქიის სამიტროპოლიტო სასამართლოში ბოგდან სერგეის ძე ოგანჯანოვმა შემოიტანა განცხადება, რომ მისი ცოლი ევდოკია ანდრიას ასული ოგანჯანოვისა, რომელზედაც ჯვარი დაიწერა 1904 წ., უკვალოდ დაიკარგა 1915 წ. ყველა, ვინც იცის ევდოკია ანდრიას ასული ვასილიევის-ოგანჯანოვის მისამართი, საქართველოს რესპუბლიკაში არსებულ კანონთა ძალით ვალდებულია სამიტროპოლიტო სასამართლოს განუცხადოს ზემოხსენებულ პირის შესახებ საჭირო ცნობები დღიდან ამ განცხადების დაბეჭდვის ორი თვის განმავლობაში. 2079 3—3

დაიკარგა პასპორტი მიღებული ს. წესის (რაჭის მაზრა) სამმართველოდან და სამხედრო ბეგრარასთან დამოკიდებულების მოწმობა მიღებული ტფ. სამხედრო აღრიცხვის უფროსისგან. ლუკა დანიელის ძე გოგობერიშვილის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2115 3—3

დაიკარგა ჯარში გასაწვევ ნაწილზე მიწერილობის მოწმობა № 1716 კონსტანტინე მიხეილის ძე გედევანიშვილის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2191 3—2

1920 წ. ივნისის 1-ს ტფილისის უფროსმა ნოტარიუსმა დაამტკიცა ნასყიდობის სიგელი, რომლითაც მოქ. ნიკიფორე ონისიმის ძე ფხაკაძემ მიჰყიდა ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე გველესიანს და ნესტორ იაკოფის ძე კახაძეს ერთი ნაკვეთი მიწისა, ზომით 112 ოთხკ. საჟ. მდებარე ქ. ხაშურში. 1263 1—1

1820 წ. ივნისის 1-ს ტფილისის უფროსმა ნოტარიუსმა დაამტკიცა ნასყიდობის სიგელი, რომლითაც ნიკოლოზ სოლომონის ძე ოსიპოვმა მიჰყიდა ნიკოლოზ ივანეს ძე მიქაძეს 1400000 მანეთათ ნაწილი მიწის, ზომით 92 $^{6}/_{4}$ ოთხკ. საჟენი, მდებარე მე-3 უბანში ტფილისში ქალაქის № 10. 1212 1—1

1920 წ. ივნისის 2-ს ტფილისის უფროსმა ნოტარიუსმა დაამტკიცა ნასყიდობის სიგელი, რომლითაც მელიტონ და დემენტი გიორგის ძე კუჩაევებმა მიჰყიდეს თომა ფილიპეს ძე ინაშვილს, 60000 მანეთათ ნაწილი მიწის, ზომით $62^{1}/_{2}$ ოთხკ. საჟენი, მდებარე მე-9 უბანში ტფილისში ქალაქის № 345. 1234 1—1

1920 წ. ივნისის 1-ს ტფილისის უფროსმა ნოტარიუსმა დაამტკიცა ნასყიდობის სიგელი, რომლითაც ვარვარა სიმონის ასულმა შავერდაშვილმა მიჰყიდა სარქის ივანეს ძე მელუმიანცს 230000 მანეთათ ნაწილი ნაკვეთი მიწის, ზომით 70 ოთხკ. საჟენი მდებარე მე 9 უბანში ტფილისში ქალაქის № 249. 1266 1—1

1920 წ. მაისის 19- ტფ. უფროსმა ნოტარიუსმა დაამტკიცა ნასყიდობის, რომლითაც ოლღა გაბრიელის ასულმა მჭედლიშვილისამ მიჰყიდა სპირიდონ გეორგის ძე მაისურაძეს, 3000 მანეთათ ნაწილი ნაკვეთი მიწის, ზომით 31 ოთხკ. საჟენი, მდებარე მე 0 უბანში ქალაქ ტფილისში, ქალაქის № 677. 1058 1—1

1920 წ. მაისის 15 ს ტფილისის უფროსმა ნოტარიუსმადაამტკიცა ნასყიდობის სიგელი, რომლითაც ელენა სტეფანეს ასულმა იზმიროვისამ მიჰყიდა მოქალაქე არტაშეს გუკასის ძე ანისანიანს 75000 მანეთათ ნაწილი მიწის მდებარე ახალციხეში ალექსანდრეს ქუჩაზედ, ქალაქის № 216. 1024 1—1

1920 წ. მაისის 15-ს ტფ. უფროსმა ნოტარიუსმა დაამტკიცა ნასყიდობის სიგელი, რომლითაც მოქალაქე მიხეილ გიორგის ძე ედიბერიძემ მიჰყიდა მოქალაქე ვასილ გიორგის ძე ბეზაშვილის 16000 მანეთათ ნაწილი მიწის № 7, ზომით 70 ოთხკ. საჟენი, მდებარე მე-9 უბანში ქალაქ ტფილისში ქალაქის № 1102. 1050 1—1

1920 წ. მაისის 15-ს ტფილისის უფროსმა ნოტარიუსმა დაამტკიცა ნასყიდობის სიგელი, რომლითაც მოქალაქე პავლე ივანეს ძე დოროდნოვისამ და ალექსანდრა ივანეს ასული ზავერტალინისამ მიჰყიდეს მოქალაქე ილარიონ ლევანის ძე რაზმაძეს 90000 მანეთათ ნაწილი მიწის, ზომით 81 ოთხკ. საჟენი, მდებარე 1 ლ უბანში ტფილისში ქალაქის № 1561 1051 1—1

1920 წ. მაისის 31-ს დღესა, ტფილისის უფროსმა ნოტარიუსმა დაამტკიცა ნასყიდობის სიგელი, რომლითაც მოქალაქე დარია გრიგორის ასულმა იარალოვისამ მიჰყიდა გაბრიელ ცხოვრებოვს, 200000 მანეთათ, ნაწილი მიწის, ზომით 1020 ოთხკუთხიანი საჟენი, მდებარე სოფ. დგვირისი, გორის მაზრა, ტფილისის გუბერნია. 1290 1—1

1920 წ. მაისის 1-ს ტფილისის უფროსი ნოტარიუსისაგან ჩანიშნულ იქმნა სიმტკიცის საქმეთა ნუსხაში გორის მაზრისა სიმტკიცის მოწმობა შემზადებული გორის ნოტარ. ტურქესტანოვისაგან 11 მაისს 1920 წელს რომლითაც მაგდანა გრიგოლის ასულმა დემეტრაშვილისამ შეიძინა ნაკვეთი მიწა ზომით ერთი დღის სახნავი 3000 მ. მდებარე სოფელ კარაგაჯში გორის მაზრა. 1244 1—1

1920 წ. მაისის 20 ს ტფილისის უფროსმა ნოტარიუსმა დაამტკიცა ნასყიდობის სიგელი რომლითაც გიორგი კონსტანტინეს ძე ლაზარევმა და ნინა ნიკოლოზის ასულმა ლეონოვმა მიჰყიდეს ივანე კურტოევს 1140000 მანეთათ ნაწილი მიწის, ზომით 151,48 ოთხკ. საჟენი, მდებარე მე-10 უბანში ტფილისში ქალაქის № 466. 1208 1—1

1920 წ. ივნისის 1-ს ტფილისის უფროსმა ნოტარიუსმა დაამტკიცა ნასყიდობის სიგელი რომლითაც ბალდასარ სოლომონის ძე ოსიფოვმა მიჰყიდა ვარლამ მიხეილის ძე მგალობლიშვილს 50000 მანეთათ ნაწილი მიწის, ზომით 50 ოთხ. საჟენი, მდებარე ქალაქ გორში. 1273 1—1

დაიკარგა ნაკლადნაია ბაქო-ტფილისი № 6418-610 ფუთი ნავთზე, რომელიც ეკუთვნდა დ. დიაკოვს და ამ უკანასკნელის მიერ მიყიდული იყო ტრესტერისადმი. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2141 3—1

დაიკარგა პასპორტი ნინო პეტრეს ასული ზაბახიძის სახელზე, მიღებული ქ. გორში. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2142 1—1

დაიკარგა სიმწიფის ატესტატი დიმიტრი ივანეს ძე პაპოვის სახელზე, მიღებული ბათომის ვაჟთა გიმნაზიიდან 1917 წ. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2143 3—1

დაიკარგა სიმწიფის ატესტატი კონსტანტინე ნიკოდიმის ძე ბალუსკის სახელზე, მიღებული ბათომის ვაჟთა გიმნაზიიდან 1917 წ. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2144 3—1

დაიკარგა პირადობის მოწმობა ვლადიმერ გიორგის ძე ელკანაძის სახელზე, მიღებული კავკავში საქართველოს კონსულისაგან 1919 წ. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2146 3—1

დაიკარგა პასპორტი № 3838 ანტონი მიხეილის ძე კურპელის სახელზე, მიღებული ტფ. მილიციის სამმართველოდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2102 3—1

დაიკარგა სამხედრო ნუსხა № 213 ივანე ალექსის ძე ჯევანშკილის სახელზე, მიღებული ტფ. სამხედრო აღრიცხვის უფროსისგან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2151 3—1

დაიკარგა პასპორტი № 24 იულია მიხეილის ასული ტაიროვას სახელზე, მიღებული ტფ. პოლიცმეისტრის სამმართველოდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2153 3—1

1920 წ. მაისის 31-ს ტფილისის უფროსმა ნოტარიუსმა დაამტკიცა ნასყიდობის სიგელი, რომლითაც მარიამ კონსტანტინეს ასულმა ციციანოვისამ მიჰყიდა მიხეილ გიორგის ძე დაბრუნდაშვილის, არჩილ ივანეს ძე და მარიამ ანდრიას ასულს ახალკაცებს 97000 მანეთათ ნაწილი მიწის № 94, ზომით 6 დესეტინა 2160 ოთხკ. საჟენი, მდებარე საავგარაკო პვა დიდში, გორის მაზრა. 1262 1—1

1950 წ. მაისის 28-ს ტფილისის უფროსმა ნოტარიუსმა დაამტკიცა ნასყიდობის სიგელი, რომლითაც მოქალაქე ტიგრან მიხეილის ძე შალინოვმა მიჰყიდა ნაზარ ივანეს ძე ნაზაროვს 2000 მანეთათ ნაწილი მიწის ზომით 8000 ოთხკ. საჟენი უფლება 3|4 დ. ნაწილი მიწაზე ზომით 2025 ოთხკ. საჟენი, მდებარე სოფ. ახალქალაქში, გორის მაზრა. 1213 1—1

1920 წ. მაისის 31-ს ტფილისის უფროსმა ნოტარიუსმა დაამტკიცა ნასყიდობის სიგელი, რომლითაც ოსმალეთის ქვეშევრდომმა არუტინ ბაგდასარის ძე ოვანესიანცმა მიჰყიდა მღვდელ იოსებ სოლომონის ძე ნაცვალოვს 60000 მანეთათ ნაწილი მიწის, ზომით 37 ოთხკ. საჟენი მდებარე მე-8 უბანში № 557 221 1208 1—1

1920 წ. მაისის 31-ს ტფილისის უფროსმა ნოტარიუსმა დაამტკიცა ნასყიდობის სიგელი, რომლითაც ეკატერინე სიმონის ასულმა მამუკელაშვილისამ მიჰყიდა სოლომონ აბრამის ძე ხუტაშვილს 50000 მანეთათ ნაწილი მიწის ზომით 106 ოთხკ. საჟენი მდებარე მე-7 უბანში ქალაქ ტფილისში, ქალაქის № 866. 1237 1—1

1920 წ. მაისის 1-ს ტფილისის უფროსმა ნოტარიუსმა დაამტკიცა ნასყიდობის სიგელი, რომლითაც მოქალაქე მოშე შამკას ძე ტოპლიშვილმა მიჰყიდა მოქალაქე შალომ დათიკაშვილს 1300000 მანეთათ ნაწილი მიწის, ზომით 325 ოთხკ. საჟენი, მდებარე მე-2 უბანში ტფილისში ქალაქის № 85-86. 1261 1—1

ტფილისის ელექტრონის ფუნიკულიორის სააქციო საზოგად. გამგეობა აცხადებს, რომ ამა წლის აგვისტოს 4-ს დღით 12 საათზე საზოგადოების ბინაზე (ვერის დაღმართი № 12) დანიშნულია მეორე აქციონერთა საზოგადო კრება, რომელიც არ შესდგა 4 აგვისტოს დღის წესრიგი 1) გამგეობის მოხსენება; 2) სარევიზიო კომისის მოხსენება, 3) 1919-1920 წლის ანგარიშის და ბალანსის განხილვა, 4) არჩევნები წესდების მიხედვით, 5) 1919-1920 წლის ხარჯთაღრიცხვა, 6) მიმდინარე საკითხები. 2161 1—1

## საქართველოს რკინის გზის სამმართველო ამით აცხადებს იმ პირთა საყურადღებოთ,

რომლების მიერ გამოგზავნილი იყო საომბო მასალები ვაგონებ-ცისტერნებით და ნავთსაქაჩავ მილებით და დაკავებული იყო საქართველოს ტერიტორიაზე აზერბეიჯანთან ომის დროს, რომ შემოიტანონ განცხადება სამ სალო განყოფილებაში 15 აგვისტომდე ამა 1920 წლის მათ დასაკმაყოფილებლათ; განცხადებაში უნდა იყოს ნაჩვენები სახელი სათბობ მასალისა და რაოდენობა, ნომერი ნაკლადნოისა, სადგური, რომელმაც გამოაგზავნა და რომელ სადგურზეა გაგზავნილი, გვარი და მისამართი მიმღებისა.

განცხადებანი იმ პირთა, რომელნიც შემოტანილი იქნება უგვიანეს 15 აგვისტოსი არ იქნება დაკმაყოფილებული. 806 3—2